№ 238

1877—1897

№ 238

კვირა, 16 ნოემბერი, 1897 წ.

კვირა, 16 ნოემბერი, 1897 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**თავადი კონსტანტინე გიორგის ძე ვეზირიშვილი** აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავისის ბებიისა,

**კნეინა ქეთევან ზაქარიას ასულის ჩოლოყაშვილისა,**

სთხოვს მობრძანდნენ განსვენებულის დაკრძალვაზედ 17 ამ თვისას, სოფელს ოსიაურში.

(1—203—1)

დამზღვეველი საზოგადოება

**რუსეთი**

ძირისა და სათადარიგო თანხა 30.000,000 მან.

საზოგადოების გამგეობა საყოველთაო საცნობელად აცხადებს, რომ რადგან, გამგეობის დიდად სამწუხაროდ, ამა წლის 19 სექტემბერს გარდაიცვალა უფროსი ინსპექტორი ნ. ტ. შკილდერი, საზოგადოების ტფილისის განყოფილების მმართვ. ქ. ტფილისში ამ ჟამად მინდობილი აქვს

უფროსს ინსპექტორს **ნიკოლოოზ პავლეს ძეს კოპპეს.**

საზოგადოების განყოფილების კანტორა იმყოფება:

ქ. ტფილისს, სერგეევის ქუჩაზედ, სახლი № 6.

(3—198—1).

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. შუღინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

**საჭიროა ნოქარი,**

კარგი მცოდნე გასტრონომიულის ვაჭრობისა. მსურველთ მიჰმართონ თავისის პირობებით ქართველთა სააღებ მიცემო ამხანაგობის

**„შუამავალის“ კანტორას**

(2—6.—2)

## მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან, ავადმყოფობისა გამო, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის მომრიგებელი შუამავალი, პოლკოვნიკი დიაჩკოვ-ტარასოვი.

## ახალი ამბავი

⁂ გორში ოლქის სასამართლომ უკვე განიხილა თავ. ნ. დ. დიასამიძის მოკვლის საქმე, რომლის ჩადენაც ოთხს ბრილელს გლეხს ედებოდა ბრალად. სასამართლომ ოთხივე ბრალდებული დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა ათ-ათის წლით. დაწვრილებით სასამართლოს მატიანეში იხილეთ.

⁂ დღეს, 16 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, სააბრეშუმო სადგურის შენობაში ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებას კრება აქვს, რომელზედაც აგრონომი ბ-ნი სპეშნევი წაიკითხავს თავისს მოხსენებას ბლეკროტისა და ვაზის სხვა ავადმყოფობათა შესახებ. კრებაზედ ყველას შეუძლიან დასწრება.

⁂ ქვაშვეთის ეკკლესიას იმ შენობებიდგან, რომლებიც გოლოვინის პროსპექტზეა და იჯარით არის გაცემული, ამ ჟამად წელიწადში მხოლოდ ოცი თუმანი შემოსდის. პირველ იანვრიდგან-კი ეკკლესიას წელიწადში ათასს თუმნადის შემოუვა, რადგან მოიჯარადრეს დეკემბერში გაუვა იჯარის ვადა და მამულის გამგეობა ეკკლესიის კრებულის ხელში გადავა. ამ შემოსავალს, რასაკვირველია, ეკკლესიას მოახმარებენ, შიგნით დაძველებულს მხატვრობას განაახლებენ და გარედგან კედლებს ლამაზად შეჰღებავენ. ამ დღეებში ეკკლესიის მნათეს არჩევანია დანიშნული. რაკი ეკკლესიის შემოსავალი შესამჩნევად იმატებს, ამიტომ საჭიროა მრევლმა ისეთი კაცი აირჩიოს, რომელიც გონივრულად აწარმოებს ამ ეკკლესიის მეურნეობას.

⁂ გუშინ-წინ, 14 ნოემბერს, ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა მოქალაქეთა მამასახლისის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ დეპუტატების იმ ამორჩევების ნაცვლად, რომელიც უკანონოდ იქმნა ცნობილი, ახალი არჩევანი მოახდინე ყოველგვარის წესის და კანონის დაცვითაო.

⁂ ფოთის ქალაქის თვით-მართველობას გადაუწყვეტია ფოთის ქუჩები ელექტრონით გაანათოს. მეტი არ იქმნება, ჩვენის ქალაქის პატრონთაც გაახილონ თვალი და ფოთისა მაინც შერცხვეთ.

⁂ ტფილისის მცხოვრებელს აზნაურს სიმონ ჯაფარიძეს უთხოვნია, ნება მომეცით „ღრმა ღელეში“ ჩემს მიწაზედ აგურის ქარხანა გავმართოო. ჯაფარიძეს აზრადა აქვს ქარხანაში ორთქლის ქვაბი დადგას და მაზუთით გახუროს.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე, სადგურებ კოვლიარსა და თაუზს შორის საქონლის მატარებელის მიმოსვლა შეჩერებული იყო. 13 ნოემბერს გზა გაიხსნა და მოძრაობაც დაიწყო.

⁂ რუსული გაზეთი „Земледѣльческая газета“ ამბობს, რომ მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონების

## ფელეტონი

**ნაწყვეტი**

რამდენი ჭირი მინახავს,
რამდენი მივაგლახია,
მაგრამ არც ერთხელ არ მითქვამს:
ჰი, ესეც ჩემთვის ახია!
არ ტყდება გული რკინისა,
ვერა სძლევს სულთქმა, ვახია,
სიკვდილიც კარზედ მომდგარი
მოჰკლა და შუა გახია!..

დ. მაჩხანელი

**ჩვენის ახალთაობის უფერულობის ერთი მრავალ მიზეზთაგანი.**

ამ უკანასკნელ დროს ჩვენს საზოგადოებაში „ახალთაობის საგანი“ აღიძრა. ჩვენს მწერლობაშიაც გამოითქვა ორიოდე აზრი, იმათ უეჭველია სხვები მოჰყვება. ხოლო ყველას დედა-აზრი ერთი და იგივე არის და იქნება: ჩვენი ახალთაობა უფერულიაო. საზოგადოების გულნაკლულობამ ხომ თითქმის უკიდურესობას მიაღწია. აქამდის კიდევ ჰქონდა ახალთაობას იმედი, ახლა-კი სრულიად იმედ-დაწმენდილია. სტუდენტს რომ დაინახავდნენ ჩვენში, სიამოვნებასა ჰგრძნობდნენ: რაღაც იმედი ებადებოდათ გულში. დღეს-კი ყველასათვის ცხადია, რომ ქართველი სტუდენტობა ჩვენის საზოგადოების თვალში დაეცა. აიღეთ რუსეთის სტუდენტობა. კრიტიკოსი, პუბლიცისტი თუ ბელეტრისტი რუსეთში ყველა იმას ემდურის. მთელის რუსეთის საზოგადოება ქართველ საზოგადოებასავით გულ-გატეხილი გაიძახის, ჩვენი ახალთაობა უვარგისია, უდედ-აზრო, უიდეალოაო. მე არ შემიძლიან ამ მართლაც ძალიან სამწუხარო მოვლენას ყველა მიზეზი მოვუნახო, არც ახალთაობის გამართლება მინდა, მაგრამ, თუ საქმეს კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ახალთაობა თუ სრულიად არა, ნახევრად მაინც უდანაშაულოა.

თუმცა კლასიკურის განათლების შესახებ იმდენი რამ დაწერილა და ახლაც იწერება, რომ მთელს ლიტერატურას წარმოადგენს, მაგრამ რაც უნდა ბევრი დაიწეროს კიდევ იმის წინააღმდეგ და სასარგებლოდ, ერთი გარემოება ადამიანს ყოველთვის გააკვირვებს: როდესაც საღი გონება, უბრალო ლოგიკა იმას გვეუბნება, სასწავლებელი თანამედროვე გარემოებას უნდა ეთანხმებოდეს და შეეფერებოდეს, ახალთაობის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს და იმას თანამედროვე ცხოვრებისათვის ამზადებდესო. მაგალითად, რა დანიშნულება აქვს ჩვენ გიმნაზიებს?ისა, რომ ახალთაობას მიაღებინოს ისეთი განათლება, როგორიც საქაოს გამოუსადეგარია, და არა ისეთი, როგორიც ეხლანდელს დროში საჭიროა. ძალდატანება თუ რომელსამე საქმეშია მავნებელი, მით უმეტესს სწავლა-განათლებაში, სადაც ყოველივე ნებაყოფლობითა და სურვილით უნდა სწარმოებდეს.

არასოდეს არ დამავიწყდება ერთის მასწავლებლის სიტყვები, რომლითაც ის გულ-მოსული მოსწავლეებს მიჰმართავდა ხოლმე: ვინ გეხვეწებოდათ, რომ გიმნაზიაში მორბოდით? საცა გენებოთ, იქ მიბრძანდით; ჩვენ არავის არ ვიჭერთო. ვინ იცის, რამდენი ყმაწვილი ამბობდა მაშინ გულში: დიდის სიამოვნებით წავიდოდით, მაგრამ გზა არსით არისო. და მართლაც, რითი უნდა ასცდეს გიმნაზიას ის ყმაწვილი, რომელსაც უმაღლესის განათლების შეძენა უნდა? უმაღლესი განათლება-კი ყველასათვის საჭიროა: მდიდრისათვის გონების განსავითარებლად და ცხოვრების შესახებ ჭეშმარიტის აზრ-შეხედულობის შესაძენად, ღარიბისათვის, ამათ გარდა, ლუკმის საშოვნელადაც. ადამიანის სიცოცხლე იმდენად გრძელი არ არის, რომ ათი და თორმეტი წელიწადი ტყუილად დავკარგოთ. გიმნაზია უნდა აძლევდეს ყმაწვილს საფუძველს, რომელზედაც მას შემდეგის განათლების დამყარება შეეძლოს; უნივერსიტეტი გიმნაზიის განგრძობა უნდა იყოს და ამიტომ მათ შორის ორგანიული კავშირი უნდა არსებობდეს; ნამდვილად-კი მათ შუა უფრო დიდი უფსკრულია, ვიდრე დედამიწასა და მარსის მცხოვრებთა შორის. მაშასადამე, გიმნაზიაში გატარებული დრო ნახევარი მაინც დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

ყმაწვილი კაცი ათავებს გიმნაზიას, მიდის უმაღლესს სასწავლებელში და სწორედ იმგვარს მდგომარეობაში ვარდება, როგორშიაც ის ადამიანი, რომელიც სამიკიტნოში დაითრო, დაეძინა და, როდესაც გამოიღვიძა, თავის თავი ძვირფასად მორთულ დარბაზში დაინახა; როგორც ის დაიწყებს განცვიფრებული აქეთ-იქით თვალების ცეცებასა და ძახილს, „ბიჭოს, აქ სადა ვარო“, იგივე ემართება ახალგაზდა სტუდენტს პირველ ლექციაზედვე: ყოველივე ნახული და გაგონილი მისთვის ახალია, სულ უცხო. ანბანიდგან უნდა დაიწყოს ის საგნები, რომლების დედა აზრნი, ტიპიური ნიშნები შესწავლული თუ არა, გაგონილი მაინც უნდა ჰქონოდა. ზოგი იტყვის: რატომ არ გაიცნო გიმნაზიაში ყოფნის დროსო? ამის მთქმელს ვუპასუხებთ: გიმნაზიელს არა აქვს იმდენი თავისუფალი დრო, რომ თავისს საგნებს გარდა, სხვა-და-სხვა მეცნიერებაც შეისწავლოს; საუნივერსიტეტო საგნების გაცნობა იმ ქალაქებში, სადაც უნივერსიტეტი არ არსებობს, გიმნაზიელისათვის ძალიან ძნელია; არა ჰყავს ხელმძღვანელი, ჩამგონებელი: გიმნაზიურ განათლების ზეგავლენით ყმაწვილს ასე ჰგონია, ქვეყანაზედ მეცნიერება არ არსებობს, ან თუ არსებობს, საჭირო არ არისო (აქა-იქ შეხვდებით გამოფხიზლებულ გიმნაზიელს, მაგრამ რამდენად ძლიერია მისი გამოფხიზლება, ეს იქიდგანა სჩანს, რომ არც-კი იცის, არსებობს თუ არა რამე კიდევ საპოლიტიკო ეკონომიის გარდა). ყოველსავე ამას გარდა, კიდეც რომ გაიცნოს მეცნიერების სხვა-და სხვა საფუძველი, გიმნაზიისა რა მადლიერი? საქმე ის არის, რომ თვითონ გიმნაზია უნდა აცნობდეს და არა მისი კეთილი სურვილი. თუ იმას იტყვით, გიმნაზიას საგნად აქვს, ყმაწვილს საზოგადო განათლება მიაღებინოსო, ბევრმა მიუკერძებლად და საფუძვლიანად დაამტკიცა ამგვარის მოსაზრების სიყალბე; მაგრამ „ურწმუნო თომა“ ქვეყანაზედ არ მოისპობა. მოკლედ ვიტყვით, რომ გიმნაზიის საგნებიდგან საზოგადო განათლებას შესძენს ყმაწვილს მხოლოდ გეოგრაფია, ისტორია და სიტყვი-

სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროს თანხმობით დაადგინა, რომ სამეურნეო მოქმედების შესაწევრად სახელმწიფო ბანკიდგან სესხის გატანა მიანიჭოს ერევანის, ელისავეტოპოლის და ზოგიერთ ამიერ-კავკასიის ადგილებს. თუ ეს მართალი გამოდგა, ამიერ-კავკასიის მეურნოეთა შესაძლოდ გაუხდებათ სახელმწიფო ბანკიდამ ისესხონ ფული მეურნოების განსაკარგებლად და გასაძლიერებლად.

⁂ ამ ჟამად პეტერბურგში მიელიან ინგლისის ერთ დიდ ამხანაგობის წარმომადგენელს, რომელსაც განზრახვა აქვს გზათა სამინისტროსთან მოლაპარაკება დაიწყოს და იკისროს კავკასიის მთა-გრეხილზედ რკინის გზის გაყვანის საქმე. (С.-Пет. Вѣд.“)

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ სიტყვით, მეურნეობის სამინისტრომ გადასწყვიტა მომავალის წლიდგან დაარსებულ იქმნას ქუთაისში სამაგალითო აბრეშუმის საქსოვი სახელოსნო. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ამ საქმისათვის მეურნეობის სამინისტროს მოხელე ბ-ნი მერჟეევსკი იყო კავკასიაში გამოგზავნილი.

⁂ „ტფ. ფურ.“ სწერს: „წარსულ კვირას ავადმყოფი ბ-ნი ბ-კოვი მეტად შეუფერებლად და უზრდელად მოექცა ექიმ მაისურიანც. ბ—კოვს თეძო ჰქონდა გადატეხილი და მოსარჩენად ექ. მაისურიანცი ჰყავნდა მოწვეული. როდესაც ბ-კოვი მორჩა, ექიმმა ფეხი გაუზომა და იქვე გამოაცხადა, რომ ფეხი $1^1/_2$ სანტიმეტრით დამოკლდაო. ამ ამბავმა ბ—კოვი ისე გააბრაზა, რომ დაავლო თოფს ხელი და მაისურიანც გამოუდგა. შეშინებული მაისურიანცი გარეთ გავარდა. შემდეგ მაისურიანცმა ექიმები მოიწვია და იმათ შემოწმეს, რომ მაისურიანც ფეხის დამოკლებაში ბრალი არა აქვს და რომ ფეხის დამოკლება სრულიად წესიერი შედეგია ავადმყოფობისა. ეს საქმე სასამართლოში იქმნება გარჩეული“.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ ატყობინებენ ქუთაისიდგან, რომ გენერალ-ადიუტანტი უგანათლებულესი თავადი გრიგოლ ლევანის ძე დადიანი ფილტვების ანთებით გახდა ავად, მაგრამ ეს რამდენიმე დღეა გაცილებით უკეთ არისო.

⁂ გაზ. „მშაკის“ სიტყვით, რამდენიმე გადმოხვეწილი სომეხი, რომელნიც სამშობლოში უნდა წასულიყვნენ, უკანვე ტფილისში დაბრუნდნენ, რადგანაც ყარსის ოსმალეთის ელჩმა ნება არ მისცა ოსმალეთში დაბრუნებისაო. გაზეთი ამბობს, რომ ამავე მიზეზით მრავალი სხვა გადმოხვეწილი სომეხიც ველარ დაბრუნებულა ოსმალეთის სომხეთში.

⁂ ბათუმი. აქ აზრადა აქვთ მემუსიკეთა „კრუჟოკი“ დააარსონ. წესდება უკვე წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად.

⁂ ფოთი. რკინის გზის მატარებელმა დაამხვა რკინის გზის მოსამსახურე იასონ გადუა.

⁂ ქუთაისი. გუშინ აქაურ ოლქის სასამართლოში გაირჩა იულიანე შარაშენიძის საქმე, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ სიტყვითა და საქმით ბათუმის მომრიგებელ მოსამართლეს შეურაცხყოფა მიაყენაო. დღეს გამოცხადებულ იქმნა განაჩენი, რომლითაც იულიან შარაშენიძეს ორის წლით დაპატიმრება და ზოგიერთის უფლების ჩამორთმევა გადაეწყვიტა. ამას გარდა გადაწყვეტილია გადაახდევინონ ყველა ხარჯი და მოსთხოვონ სათავმდებოდ 7 ათასი მანეთი, ხოლო თუ ეს ფული ვერ წარადგინა, დაპატიმრებულ იქმნას.

———◆◆———

## წერილი ბათუმიდგან

2 ნოემბერი

ვით სპილო არ მწამს სპილოდა,
თუ აღარა აქვს ხორთუმი,
ისე კავკასი—კავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი!

პოეტის ნატვრა და წინასწარმეტყველება აღსრულდა: ძველი ნაწილი კავკასიისა, დროებით დაშორებული, ისევ იმას შეუერთდა და ამ უკანასკნელ 18—19 წლის განმავლობაში საკმაოდ მოზდილი ქალაქი აშენდა იქ, სადაც მინგრეულ მონგრეული პატარა დაბა-ღა იყო. ბათუმი ეხლა თავისი ადგილ-მდებარეობის წყალობით დღითი-დღე ჰმატულობს, იზრდება სიგძე-სიგანით და ეჭვი არ არის, —ჩვენის ბუნებით უხვად დაჯილდოებულ კავკასიის ბევრს ქალაქს უკან დასტოვებს ქონებრივად თუ განათლების მხრივ.

ჩვენ, ქართველებს, განათლებულ დასავლეთთან გზა და ხიდად გადაგვექცევა, რომლითაც ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი სწავლა-მეცნიერების ძალა შემოვა ჩვენს ედემისავით საქართველოში. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ბათუმს გარს აკრავს ისეთი ნიჭიერი და ცოცხალი, გამბედავი ხალხი, როგორნიც არიან გურულები და აგრეთვე ერთ დროს ქებული აჭარ-ქობულეთლები, ეხლა-კი დროთა ვითარების გამო მიძინებულნი. ძილსაც ხომ, თუგინდ სალათისას, შედეგად გაღვიძება მოჰყვება და მაშინ ესენი ძველებურად უკვდავ სახელითა და დიდებით შეიმოსებიან საზოგადო ასპარეზზედ სასიქადულოდ თავის გამოჩენით.

ქალაქმა ბათუმმა ამ მოკლე ხნის განმავლობაშიაც თავი იჩინა: საზოგადო, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეში არც ერთს მისს ტოლს ქალაქს მშვენიერ საქართველოსას არ ჩამოუვარდება, რაც არა მარტო ცარიელის სიტყვით, არამედ საქმითაც დაამტკიცა და ამტკიცებს. ამის საბუთებით დასურათ-ხატებას თავი დავანებოთ და ავნუსხოთ მხოლოდ ზოგიერთი ჩვენი დღიური ჭირ-ვარამი. ეხლანდელმა ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობამ, როგორც მკითხველმაც უწყის, თავი ისახელა საშვილიშვილო საქმის გაკეთებით—სავაჟო გიმნაზიის დაარსებით, რითაც მოქალაქეთ დიდი სამსახური გაუწია. ეხლა მეორე საგანია აღძრული—დედათა პროგიმნაზიის დაარსება. უეჭველია, ყოველი ცოტად თუ ბევრად განვითარებული მკვიდრი ქალაქისა დიდის სიხარულით მიეგებებოდა ხმ. ნ. ა. დუმბაძის აზრს საქალებო პროგიმნაზიის დაარსების შესახებ, რომელიც გამოსთქვა მან ამას წინად ქალაქის საბჭოში. პატივცემულ ხმოსანმა დაამტკიცა რა პროგიმნაზიის დაარსების აუცილებელი საჭიროება ქალაქისათვის, განმარტა, როგორ და რა გზით შეუძლიანთ ამ საქმის განხორციელება. მისის ანგარიშით, ექვს კლასიანის პროგიმნაზიის შენახვა ქალაქს ყოველ წლიურად დაუჯდება ათი-ათას მანეთზედ არა მეტად, რაც ქალაქს არ გაუჭირდება, მით უფრო, რომ ამ ხარჯის $^2/_3$ ნაწილს დაჰფარავს მოსწავლეთაგან შემოსული ფული. ამის გარდა, ეჭვი არ არის, სამოსწავლო მთავრობაც ყოველ წლიურად შეეწევა 1—2 ათას მანეთით. იმედია, ქალაქის თვით-მმართველობა გულ-მოდგინედ მოეკიდება ამ საშვილიშვილო საქმეს და ვაჟთა გიმნაზიასავით სასურველად დააბოლოვებს, რითაც შეძლებას მისცემს ბათომელთ თავისს თვალწინ გამოზარდონ მომავალი დედები და შეძლებისამებრ სწორედ და ნათელს გზაზედ დააყენონ.

მეორე ჩვენი ჭირ-ვარამი საზოგადო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს უქონლობაა. ბევრს აქაურს მკვიდრს სულითა და გულით უნდა თავისუფალი დრო წიგნების კითხვით გაატაროს, მაგრამ სად არის წიგნი? იმდენი შეძლება არა აქვს, რომ თითონ იყიდოს წიგნი, ანუ საკუთრად გამოიწეროს ჟურნალ-გაზეთი, სამკითხველო არ არსებობს, რომ იმით ისარგებლოს და იძულებულია ისევ ყავახანა-სასტუმროებს მიჰმართოს, სადაც, დიდის გაჭირვებით დაზოგილის ფულის დაკარგვის გარდა, ზნეობრივად იხრწნება და ჯან მრთელობის მხრივაც სიცოცხლეს იშხამავს ამ მოწამლულ ჰაერში. ამ ყავახანა-სასტუმროების ბრჭყალებისაგან იხსნიდა ბევრს აქაურს ახალგაზდას, წიგნთ-საცავი რომ არსებობდეს აქა. წიგნებისა და ჟურნალ გაზეთების კითხვის სურვილი რომ არის აქაურ „უდიპლომოთა“ შორის, ეს ცხადია. სხვა რომ არა იყოს რა, ამას შემდეგი ამბავიც ამტკიცებს: ამ დღეებში აქ გამოვა სამი წიგნი ერთად „გლეხის ამხანაგობის“ გამოცემა. ამ „გლეხს“ არავითარი სავაჭრო აზრი არა აქვს, რაც ქართულ სიტყვიერების მოყვარულისათვის სასიხარულო უნდა იყოს. სასურველია, საჩქაროდ დაგვიარსონ სამკითხველო ვისგანაც ეს დამოკიდებულია, მით უფრო, რომ ცოტაოდენი ფულიცა გვაქვს შეგროვილი (ან გვქონდა). რაც შეეხება წვრილმან დამაბრკოლებელ მიზეზებს, ამას შარშანდელი თოვლსავით გაჰფანტავს საქმის სიყვარული და მხნეობა. სხვა რომ არა იყოს რა, სირცხვილიც არის, ბათუმს სამკითხველო არ ჰქონდეს, როდესაც თითქმის გურიის თითოეულს სოფელშია დაარსებული!

ამას წინად ზოგიერთმა აქაურმა ვაჭრებმა მიამბეს, რომ ჩვენ ყოველთვეს ვიხდით შეძლებისამებრ ფულს და არც-კი ვიცით, ვისთვის, ანუ რისთვის გროვდება და ან ვისგანაა ეს დაკანონებულიო. „გროშებს ვინ ჰჩივაო, მითხრეს, ვიცოდეთ მაინც, რას მოხმარდება, ან მოხმარდება-კი რაიმე კეთილს საქმესო? მიწა ჰყლაპავს, თუ ცა, არ ვიცითო!“ ჩემის აზრით, კარგს იზამდა ფულის მბოჭველი, რომ განუმარტა-

ერება. მეცნიერთაგან დამტკიცებულია და გამოცდილებამაც გამოაშკარავა, რომ გეოგრაფიის სწავლა ფიზიკის, გეოლოგიის, მეტეოროლოგიის, მინერალოგიის და ასტრონომიის უსწავლელად შეუძლებელია და უაზრო. ისტორიას ერთი უპირველესი ალაგი უჭირავს ადამიანის გონების განვითარებასა და მის ზნეობრივ აღზრდაში, ხოლო იმგვარს ისტოტორიას-კი არა, როგორსაც გიმნაზიებში ასწავლიან: რასაც უპირველესი ადგილი უჭირავს ისტორიაში—კაცობრიობის გონებრივ წინსვლელობას, გიმნაზიებში იმას არავითარს ყურადღებას არ აქცევენ; ომებსა და სისხლის ღვრას, რასაც ისტორიაში სულ მცირე მნიშვნელობა აქვს, დიდის დაბეჯითებით იზეპირებენ. ასე რომ გიმნაზიელი, ისტორიას კი არა, სისხლის ღვრასა და ომების ხრონოლოგიას სწავლობს; გაათავებს გიმნაზიას და მხოლოდ ის დარჩება თავში, ესა და ეს ბრძოლა ამა და ამ წელს მოხდა, ამა და ამ ალაგას; მხედართ-მთავარი ესა და ეს იყოვო. ლიტერატურის შესწავლას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ისტორიისას; მაგრამ ბევრი სარგებლობა არც იმას მოაქვს გიმნაზიელისათვის, რადგანაც მას ერთობ ცალ მხრივად და სუსტად ასწავლიან: Кириллъ Туромскій და Даніилъ Заточникъ-ი ზედმიწევნით უნდა იცოდეთ, თანამედროვე დიდს მწერლებს-კი შეგიძლიანთ სრულიადაც არ იცნობდეთ.

სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, ჩვენ მოვიყვანთ მცირეოდენ სტატისტიკურ ცნობებს, რომელიც ნათლად დაგვანახვებს, თუ რამდენად შეეფერება თანამედროვე ცხოვრებას ჩვენი გიმნაზიები, რომლებიც უნივერსიტეტის კარ-ბჭეს შეადგენს.

მოსკოვის უნივერსიტეტში გაათავა:

| წელი | საფილოლოგიო. | სამათემატიკ. | ბუნების მეტყველებისა. | იურიდიული. | სამკურნალო. |
|---|---|---|---|---|---|
| 93 | 30 კაცმა | 72 | 29 | 226 | 207 |
| 94 | 32 | 34 | 31 | 202 | 193 |
| 95 | 40 | 59 | 42 | 364 | 211 |
| 96 | 50 | 50 | 66 | 306 | 174 |

ყველა კურსებზედ ერთად იყვნენ:

| წელს | ფილოლოგი. | მათემატიკოსი. | ბუნების მეტყველ. | იურისტ. | მკურნალი. |
|---|---|---|---|---|---|
| 93 | 235 | 312 | 344 | 1453 | 1103 |
| 94 | 258 | 311 | 374 | 1569 | 1182 |
| 95 | 266 | 346 | 480 | 1530 | 1282 |
| 96 | 251 | 396 | 533 | 1587 | 1380 |

ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ყველაზედ მეტი იურისტია, შემდეგ მკურნალი, ბუნების მეტყველი, მათემატიკოსი და ყველაზედ ნაკლები ფილოლოგი. ამათშიაც თითქმის სამი მეოთხედი ისტორიკოსია, მხოლოდ ერთი მეოთხედი თუ იქნება კლასსიკი. მკურნალებსა და ბუნების მეტყველებს თუ ერთად შევაერთებთ, რადგანაც სამკურნალო მეცნიერება ბუნების მეტყველების ნაწილს შეადგენს, გამოვა, რომ ეხლანდელი ახალგაზდობა ეტანება ბუნების მეტყველებას და იურიდიულს მეცნიერებას *). ჩვენს გიმნაზიებსა და საშუალო სასწავლებლებშიაც ამ ორ მეცნიერებას უნდა ეჭიროს უმთავრესი ალაგი და არა ლათინურსა და ბერძნულს. ჩვენ არ შევუდგებით იმ ცრუ აზრის დარღვევას, ვითომ კლასიკური ენები ყმაწვილს გონებას უხსნიდეს, ლოგიკას ასწავლიდეს, აზრის მოკლედ გამოხატვას აჩვევდეს, აზროვნებას უვითარებდეს და სხვა, რადგანაც ეს დიდი ხანია უკვე დარღვეულია. ძვირად ჰნახავთ გიმნაზიელს, რომ არამც თუ ზედმიწევნით იცოდეს ეს ორი ენა, არამედ მარტო თავისუფლად წაკითხვა შეეძლოს მხოლოდ იმ მწერლებისა, რომლებსაც გიმნაზიებში აცნობენ. იმათი სწავლება მხოლოდ ტყუილს, ფლიდობასა და ფარისევლობას აჩვევს ყმაწვილს და ამასთან გონებას ულაყებს, რადგანაც ორ გიმნაზიელს ვერა ჰნახავთ, რომ ამ ენებს ეგრედ წოდებული „ПОДСТРОЧНИКЪ“-ებით არა სწავლობდეს. ანკი როგორ ისწავლის ამ ენებს გულდასმით ის ყმაწვილი, რომელიც შემდეგში იმათგან არავითარს სარგებლობას არ მოელის! თუკი ფილოლოგებს, რომლებიც მთელის სტუდენტობის მხოლოდ 7—8 ნაასალს შეადგენენ, ესეთ პატივსა სცემენ, რომ ლათინურ-ბერძნულს ყოველ კვირა გიმნაზიებში 11 საათს სწირავენ, რაღა დააშავეს იურისტებმა, მკურნალებმა, ბუნების მეტყველებმა, რომლებიც ერთად თითქმის 85 ნაასალს შეადგენენ? 11 საათის მაგიერათ, რატომ 2—3 საათს მაინც არ იმეტებენ, რომ ამდენს მსურველს ბუნების მეტყველების საფუძვლები და ჩვენის დროის სოციალური და ეკონომიური საგნები გააცნონ? იმათი არ ცოდნა სირცხვილია ყველასათვის, რადგანაც მეცხრამეტე საუკუნე, როგორც გერმანელი პედაგოგი ოლერტი ამბობს, ბუნების მეტყველების საუკუნეა, მეოცეც იგივე იქნება, სასწავლებელი-კი ზნეობრივად ვალდებულია, ყმაწვილს გააცნოს ის საგნები, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების დედა-ძარღვს შეადგენს.

საზოგადოდ რაც საჭიროა, ის ჩვენს გიმნაზიებში მივიწყებულია, რაც საჭირო არ არის და გამოუსადეგარია, ის დიდს თაყვანის ცემაშია. მაგალითად,—რუსის სტუდენტისათვის ფრანგულ-გერმანულის ცოდნა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს: რუსულ ენაზედ ხშირად სახელმძღვანელოსაც ვერ იშოვნით რომელისამე მეცნიერების შესასწავლად და, თუ რომელისამე საგნის გამორკვევა გინდათ, რუსულს ენაზედ ხელ-შემწყობს მასალას ძალიან ცოტას იპოვით. მარტო რუსულით შორს ვერ წახვალთო, თითონ რუსის პროფესორები იტყვიან ხოლმე, და ასეც უნდა იყოს, რადგანაც დასავლეთ ევროპაში მეცნიერება უფრო ადრე დაიწყო და ამიტომ უფრო მაღლა სდგას, ვიდრე რუსეთში. შეიძლება მომავალში მარტო რუსული საკმარისი იყოს, მაგრამ დღეს-კი ეს ყოვლად შეუძლებელია. მთელს რუსეთში კი ახალის ენების სწავლის საქმე იმდენად მიგდებულია, თითქოს საჭირო არც კი იყოსო. ფრანგულ-გერმანულის ენის გაკვეთილები ყველა გიმნაზიებში მხოლოდ მასხარობაა, რომლის დროსაც შეგიძლიანთ თავისუფლად იცინოთ, ილაზღანდაროთ, სხვა გაკვეთილები ამზადოთ, დაიძინოთ კიდეც! მთელს რუსეთში გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულთა ასში ათმა არ იცის რიგიანად არამც თუ ორივე ახალი ენა, არამედ მარტო ერთი. ყოვლად შეუძლებელიც არის

*) თუმცა ამ აზრის დასამტკიცებლად სხვა უნივერსიტეტების სტატისტიკური ცნობები არა მაქვს, მაგრამ თამამად შემიძლიან ვთქვა, რომ ამგვარი განსხვავება არსებობს.

ვდეს ხალხს რისთვის, ან რის ძალითა ჰკრებს ფულს.

ჩვენ, ბათუმელებს, სხვათა შორის ერთი საიდუმლოცა გვაქვს. ეგრედ წოდებული წესიერების დამცველის სილა. ჩვენ, უფრო დაბალმა ხალხმა ვიცით, რა სილაცაა ეს სილა, რა გემრიელია და გულის სიღრმეში საიდუმლოდა გვაქვს შენახული. ვისაც სურს ამ ახალ გამოკენკილ „სიტკბო-სილით“ დასტკბეს, ვურჩევთ ჩვენ შორის წევრად ჩაეწეროს, ეს კია, რომ რაც უფრო დაჩაგრულ წევრად ჩაეწერება, მით უფრო მეტს იხვედრებს, და ამითი ბათუმის ერთ-ერთ ნაწილში ჰპოვებს ქვეყნიურს სამოთხეს. აი, სად გამართლდა მაცხოვრის სიტყვები: „მდაბალნი აღმაღლდნენო!“.

ილიკო ვერმიშანაშვილი

## რუსეთი

უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს სასოფლო-სამეურნეო საგნის სწავლება შემოიღოს საერო განათლების ქვემდებარე სასწავლებლებში, სახელდობრ: სამასწავლებლო სემინარიასა, ორ-კლასიან სოფლის სასწავლებლებსა, საქალაქო და სამაზრო სასწავლებლებში და სასულიერო უწყების სამრევლო-სამასწავლებლო და ორ და ერთ კლასიან სამრევლო სასწავლებლებში. პირველ ხნობით ამ საგნის სწავლება შემოღებულ იქმნება იმ სასწავლებლებში, რომელთაც თავისუფალი მამული ექმნებათ მოსწავლეთა პრაქტიკულად მეცადინეობისათვის.

— გზათა მინისტრმა გააუქმა ის განკარგულება, რომლის ძალითაც არა რუსთა და არა მართლ-მადიდებელ მოხელეთა რიცხვი რუსეთის რკინის გზებზედ მცირე უნდა ყოფილიყო.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ამ დღეებში წარედგინება პროექტი იმის შესახებ, რომ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა სახელმძღვანელოდ ნორმალური წესდება იქმნას გამოცემულიო.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო მომავალ წლისთვის სახელმწიფო საბჭოს სთხოვს: უმაღლესს სასოფლო-სამეურნეო განათლების გასავრცელებლად 193,668 მან., საშუალო სამეურნეო სასწავლებელთა საჭიროებისათვის 51,071 მან., დაბალ სასოფლო სამეურნეო სასწავლებელთათვის 169,950 მან., სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და კერძო კაცთა მიერ დაარსებულ დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა დასახმარებლად 296,111 მან., კერძო პანსიონთა შესანახავად 60,500 მან., სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთათვის მასწავლებლების მოსამზადებლად 9,000 მ., სასოფლო-სამეურნეო კურსების დაარსებისა და შესანახავად 18,950 მან. და მოსწავლეთა პრაქტიკულად სავარჯიშოდ 20,000 მან.

— ამ ჟამად, პეტერბურგში არსდება ამხანაგობა ნახევარ მილიონ მან. თანხით, რომელსაც აზრად ექმნება ნავთისაგან სხვა-და-სხვა ნაირი სამღებრო წამალი და საპონი დაამზადოს. ამხანაგობის მეთაურად ამერიკელი ვილიამ უატერსი იქმნება, რომელსაც ამ დღეებში მიელიან პეტერბურგს.

— ხმა დადის რომ მარხვაში წარმოდგენების მართვის ნება-დართვის უფლება უნდა მიეცეს საგუბერნიო მმართველობათაო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პალატას გაუსინჯავს და უკვე დაუმტკიცებია ახალი კანონი შესახებ სასისხლო მართლ-მსაჯულობის წესდებისა. ამ კანონში ახალი იგია, რომ აქამდე საიდუმლო წარმოება გამოძიებისა ეხლა საიდუმლო აღარ იქმნება. ბრალდებულს ნება აქვს გამოძიების დროს იყოლიოს ადვოკატი და იგი ალაპარაკოს.

— დრეიფუსის საქმე თანდათან მწვავდება. საფრანგეთის გაზეთები მხოლოდ ამაზედ-ღა ლაპარაკობენ, ხალხი დიდის მოუთმენლობით ელის, რით დასრულდება იგი. როგორც წინა წერილშიაც მოვიხსენიეთ, ამოდენა აყალ მაყალი და ლაპარაკი გამოიწვია მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ ამ საქმეში ისეთი ყველასათვის ცნობილი და გამოჩენილი კაცი ჩაერია, როგორიც არის სენატის ვიცე-პრეზიდენტი შერერ კესტნერი. დღემდის ყველა დარწმუნებული იყო, რომ დრეიფუსი დამნაშავე, მოღალატეა და ის სასჯელი, რომელიც მიუსაჯეს, სრულიად კანონიერია: სწორედ ამიტომ ყურადღებას არავინ აქცევდა იმ ზოგიერთ გაზეთებს, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ დრეიფუსი დამნაშავე არ არის, რომ მოღალატე სულ სხვა არის და დრეიფუსი უსამართლოდ იქმნა დასჯილიო. ხოლო მას შემდეგ, რაც შერერ-კესტნერმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ მე ისეთი საბუთები მაქვს, რომელნიც დრეიფუსის სიმართლეს ამტკიცებენო, ყველამ ყურები აცქვიტა და გაიფიქრა, იქნებ დრეიფუსი მართალი იყო, თორემ ისეთი კაცი, როგორც შერერ-კესტერია, ტყუილ-უბრალოდ თავს რად აიტკივებდაო. გარდა ამისა, დასჯილის კაპიტანის დრეიფუსის ძმა მათე დრეიფუსი კიდეც ასახელებს სამხედრო მინისტრთან გაგზავნილ წერილში ვითომდა ნამდვილს დამნაშავეს და მოღალატეს. აი, ეს წერილიც: ,,ბატონო მინისტრო! ერთად-ერთი საბუთი, რომლის ძალითაც ჩემი უბედური ძმა დამნაშავედ იქმნა ცნობილი, არის ის ხელ-მოუწერელი და უთარიღო წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ ვითომც მას ფრიად საჭირო და საიდუმლო ქაღალდები გადაეცეს უცხო სახელმწიფოსათვის. მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ამ წერილის ავტორი გრაფ ვალსინ ესტერგაზია, ქვეითა რაზმის უფროსი, რომელმაც შარშან ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავი დაანება. ვალსინ ესტერგაზის ხელი მეტად წააგავს იმ ხელს, რომლითაც საბრალმდებლო წერილია დაწერილი. ჩემთვის ძალიან ადვილია, ბატონო მინისტრო, წარმოგიდგინოთ ამ აფიცრის სხვა ნაწერები. მე მზათა ვარ დავასახელო ის, თუ სად შეგიძლიანთ იპოვნოთ იმისი წერილი, რომელსაც რიცხვი აზის და დაწერილია ჩემის ძმის დაპატიმრების წინა დღეებში. დარწმუნებული ვარ, რომ ეხლა, როდესაც ნამდვილად იცით, ვინ არის დამნაშავე იმ საქმეში, რომლის გულისთვისაც ჩემი ძმა იქმნა დასჯილი, დიდხანს აღარ დააყოვნებთ და სიმართლეს აღადგენთ. თქვენი, ბ-ნო მინისტრო, ღრმად პატივისმცემელი მათე დრეიფუსი‘‘. ვერ წარმოიდგენს მკითხველი, რა ამბავი მოხდა პარიჟში ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ. გაზეთის რეპორტერების მთელმა ჯარმა ქუჩა-ქუჩა დაიწყო სიარული და გრაფ ესტერგაზის ძებნა, მაგრამ მათდა საუბედუროდ სწორედ ამ დროს იგი პარიჟში არ იყო. ფერდინანდ ვალსინ ესტერგაზი საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერად ითვლება და წინად მე-47 ქვეითა რაზმის უფროსად იყო. ესტერგაზი მდიდრულად, არისტოკრატულად სცხოვრობდა და ქაღალდის თამაშს მისდევდა ძალიან. აი, სწორედ ამ ესტერგაზის ედება ბრალი და მოღალატედ დრეიფუსის მაგიერ ამ ჟამად იმას ასახელებენ. ზოგიერთმა პარიჟის გაზეთებმა პირველ დღესვე გამოაცხადეს, რომ გრაფი ესტერგაზი შეშინდა და პარიჟიდგან გაიპარაო. ნამდვილად კი ესტერგაზი დღესაც პარიჟშია და სრულიად არ აპირებს გაქცევას. პირიქით, იმან საქვეყნოდ აღიარა, რომ მე ტყუილად მდებენ ბრალს და ან მოვკვდები, ან ამ ცოტა ხანში ჩემს სიმართლეს დავამტკიცებო. ყველაზედ შესანიშნავი ამ დრეიფუსის საქმეში ის არის, რომ, როგორც გაზეთები ამბობენ, ვითომ საფრანგეთის პრეზიდენტად ნამყოფი კაზიმირ პერიეც ურევია ამ საქმეში. კაზიმირ პერიეს მიერ პრეზიდენტობაზედ ხელის აღებას სწორედ ამ საქმეს უკავშირებენ. ამბობენ, რომ პრეზიდენტს გერმანიის მთავრობისაგან ისეთი საბუთები ჰქონდა, რომელნიც დასჯილის კაპიტანის სიმართლეს ამტკიცებენო.

## სასამართლოს მატიანე

### თავ. ნ. დ. დიასამიძის მოკვლის საქმე

13 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ ქ. გორში გაარჩია თავ. ნ. დ. დიასამიძის მოკვლის საქმე. საქმის გარჩევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

სასამართლოს თავმჯდომარედ იყო ოლქის სასამართლოს წევრი ე. ვ. ჩემესოვი, სასამართლოს წევრებად ა. ვ. პადალკო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე მკურნალი ჩ. რ. მოსტოვიჩი. ბრალსა სდებდა ბრალმდებელის ამხანაგი ე. ს. ჯალალოვი.

ამ საქმის გარემოება უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა. ბრალი ედებოდათ სოფ. ბრილის მცხოვრებლებს: ბესო იმერლიშვილს, 25 წლისას, სარდიონ ქართველიშვილს, 21 წ., გაბო იმერლიშვილს 25 წ. და ლექსო ჩუბინიძეს, 24 წლისას. თავ. ნ. დიასამიძის მოკვლის დღესვე დაიპატიმრეს ბესო იმერლიშვილი, რომელიც გამომძიებელს და მერე სასამართლოს გამოუტყდა, რომ დამნაშავე ვარ, თავ. ნ. დიასამიძე მე მოვკალიო. ამასთანავე ბრალდებულმა ბესო იმერლიშვილმა განაცხადა, რომ

---

იცოდეს, სანამ იმათს სწავლებას რიგიანს ნიადაგზედ არ დააყენებენ და მასხარას სამოსელს არ გახდიან.

უნივერსიტეტში-კი რაღა ჰქმნას ყმაწვილმა: მეცნიერება შეისწავლოს, რომელშიაც სრული უვიცია, თუ გრამატიკა-ლექსიკონი აიღოს ხელში და ენების სწავლას შეუდგეს? ყმაწვილის მთელი ძალ-ღონე გიმნაზიაშივე უნდება უნაყოფო შრომას, გაათავებს კურსს, შევა უნივერსიტეტში და აღარც სურვილი, აღარც ხალისი, აღარც ძალა აქვს, რომ რიგიანად შეისწავლოს ის საგნები, რომლებიც ყოველის განათლებულის ადამიანისათვის არის საჭირო. ახლა ყველამ კარგად ვუწყით, რომ საკმარისი არ არის ადამიანი კარგი ვექილი იყოს, ექიმი ან პედაგოგი... უპირველესად ის საზოგადო განათლების მქონე უნდა იყოს. ეხლანდელს გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებული არამც თუ საზოგადო განათლებას ვერ მიიღებს, კარგია, თუ თავისი სპეციალი საგნები შეისწავლა რიგიანად, რადგანაც სიყმაწვილის ხანაშივე უკვე მოხუცსა და სულითა და ხორცით დაძაბუნებულს წარმოადგენს. ბევრისაგან გამიგონია, საზოგადო განათლება ოცნება არისო. დიახ, ჩვენთვის ოცნება არის, მაგრამ შესცვალეთ გიმნაზიის პროგრამმა, შეაჩვიეთ ყმაწვილი ნაყოფიერს შრომას, ნუ გააქრობთ მის სულიერსა და ფიზიკურს ძალას, და მაშინ დაინახავთ, რომ ოცნება არ არის. ახლა, რასაკვირველია, ოცნება იქნება, როდესაც უსაჭიროესის საგნების სწავლას ყმაწვილი მაშინ იწყებს თავიდგან, როდესაც ნახევარი მაინც უნდა ჰქონდეს ნასწავლი, როდესაც ყოველ გვარი ხალისი ჩახშული აქვს.

უნივერსიტეტში ყმაწვილს მხოლოდ სპეციალ განათლების მიღება შეუძლიან, საზოგადო განათლებას-კი გიმნაზია უნდა აძლევდეს. ეს საზოგადო განათლება ლათინურ-ბერძნულ გრამატიკისა და ბრძოლების ხრონოლოგიის ზეპირად ცოდნა-კი არ უნდა იყოს, არამედ თანამედროვე მეცნიერებათა დედა-აზრების და სოციალ-ეკონომიური საგნების შეთვისება, კულტურულ ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა. ზოგი იტყვის, უჰ, შეუძლებელია, გიმნაზიაში ამდენს როგორ შესწავლის ბავშვიო. შესაძლებელი-კი არა, ძალიან ადვილიც არის, როგორც დაამტკიცა გერმანელმა პედაგოგმა ოლერტმა თავისს თხზულებაში: „Die Deutsche höhere Schule“. („საშუალო გერმანული სკოლა“.) ამ თხზულებაში ავტორი არჩევს გერმანულს გიმნაზიას და იმას დაასკვნის, რომ იქიდგან „ახალგაზდა გამოდის სრულიად მოუმზადებელი ცხოვრებისათვის: იმას არ აინტერესებს ის საგნები, რომლებიც საზოგადოებას აღელვებს; არავითარი სურვილი და მომზადება არა აქვს, რომ იმათის განხორციელებისათვის იშრომოსო“. რაც გერმანულის გიმნაზიის შესახებ ითქმის, იგივე ითქმის რუსეთის გიმნაზიის შესახებაც, რადგანაც უკანასკნელი პირველის უხეირო მიბაძვაა: გერმანიის გიმნაზიებში საბუნების მეტყველო საგნების სწავლებაც შემოიღეს, ჩვენ-კი წმინდა კლასსიკები ვართ! როცა ოლერტი ეხლანდელს გიმნაზიის იდეალიზმს შეეხება, დასძენს: „თანამედროვე საგანთა და მისწრაფებათა შეძულება, ყოველგვარის სასარგებლო შრომის სრული უარ-ყოფა, იდეალის განხორციელება მხოლოდ განსაზღვრულ ხალხსა და შორეულ წარსულში—აი უმთავრესი თვისებანი გიმნაზიურ რეტროგრადულის იდეალიზმისა... ვისაც იდეალი წარსულში გადააქვს, ის ამითი აწმყოს იდეალს უარ-ჰყოფს, ყოველგვარ წარმატებასა და წინსვლას ხელს უშლის, კაცობრიობის მთელ პროგრესიულ მუშაობას მის აზრსა და უფლებას ართმევს. არა, იდეალი ჩვენს უკან-კი არ არის, არამედ წინაა... აწმყოს პრაქტიკული იდეალიზმი წარსულის იდეალების თაყვანისცემა-კი არ არის, არა ეს—მოქმედების იდეალიზმია“.

გიმნაზიის განხილვის შემდეგ ოლერტი გვიჩვენებს, თუ რანაირად უნდა შეიცვალოს საშუალო სასწავლებელი, როგორის სახის გიმნაზია არის თანამედროვე კაცობრიობისთვის საჭირო. „თანამედროვე კაცობრიობას მარტო უფლება კი არა აქვს, ზნეობრივად ვალდებულია, მოზარდის თაობის განათლება და აღზრდა ისე მოაწყოს, როგორც აწმყოს სულიერ მოთხოვნილებას შეეფერება. ეხლანდელის აღზრდის ბურჯს უნდა შეადგენდეს თანამედროვე კულტურის სრული განხილვა და შეთვისება; წარსულის შესწავლა იმდენად უნდა სწარმოებდეს, რამდენადაც საჭიროა თანამედროვე ცხოვრების გასაგებად... საშუალო სასწავლებლებში უმთავრესი ალაგი უნდა ეჭიროს ბუნების-მეტყველებას, როგორც თანამედროვე კულტურის საფუძველს“. ოლერტი ამბობს აგრეთვე, რომ რადგანაც ეხლანდელ განათლებულ კაცობრიობის სულიერს ცხოვრებაში ეროვნობის იდეას დიდი ალაგი უჭირავს, ამიტომ სკოლამ ეს მხედველობაში უნდა მიიღოს და ახალ თაობას დაწვრილებით შეასწავლოს თავისის საკუთარის ერის ისტორია, ლიტერატურა,—ერთის სიტყვით გონებრივი წინმსვლელობაო.

ამ თხზულების შინაარსის გადმოცემა მოკლე წერილში ყოვლად შეუძლებელია; მე მხოლოდ მსურდა ის ალაგები აღმენიშნა, რომლებიდგანაც მკითხველი შეიტყობდა ოლერტის აზრს თანამედროვე გიმნაზიის შესახებ და მისის რეფორმის დედააზრებს. მსურველს დავუსახელებთ „Вѣстникъ Воспитанія“-ს 97 წ. № 5, რომელშიაც ოლერტის თხზულება ვრცლად არის განხილული. იმის წაკითხვას ნამეტნავად იმათ ვურჩევ, რომლებიც ხმა მაღლა ჰყვირიან: სათავად-აზნაურო სასწავლებელი გიმნაზიად უნდა გადავაკეთოდ, რადგანაც მაშინ ჩვენს შვილებს იქიდგან უნივერსიტეტის კარი ღია ექნებათო. თუ სულ თვალებს არ დაიბრმავებენ, დარწმუნდებიან, რომ ეხლანდელი გიმნაზია, ჩვენდა საუბედუროდ, მხოლოდ „დიპლომიან ჩინოვნიკსა“ ჰზრდის და არა განათლებულ და განვითარებულ ტვინის მქონე, ძალ-ღონით სავსე, სამოქმედოდ განმზადებულ ყმაწვილ-კაცს, რომლებიც ჩვენთვის ძალიან საჭიროა.

ივ. გომართელი

თავ. ნ. დიასამიძის მოკვლა განვიზრახე იმიტომ, რომ თავადმა უმიზეზოდ ცხენის ქურდობა დამაბრალა. ბრალდებულმა სთქვა აგრეთვე, თავადი მარტო მე მოვკალი და არავინ არ დამხმარებია ამ საქმეშიო. გარდა ამისა, ბრალი ედებოდათ ბესო იმერლიშვილის ზემოხსენებულ მეზობლებსაც, იმის მეგობრებს, რომლებზედაც უწინ ეჭვი ჰქონდათ, ბესოსთან ერთად სოფელში ჰქურდობდნენო.

როდესაც გორის მაზრის უფროსის თანაშემწემ დააპატიმრა, ამ გლეხთ იფიქრეს თურმე, რომ ბესო იმერლიშვილმა გაგვცაო, გამოტყდნენ, რომ თავ. ნ. დიასამიძე ჩვენ მოვკალითო, და განაცხადეს, რომ მეხუთე ამხანაგი ჩვენი ამ საქმეში იყო ჩვენივე სოფლელი ივანე ქართველიშვილი, მაგრამ გვიღალატა და იმ ღამეს, როდესაც უნდა მოგვეკლა თავ. დიასამიძე, აღარ მოვიდაო. გამომძიებლის წინაშე გლეხებმა გაბომ, ლექსომ და სარდომ არ აღიარეს თავისი თავი დამნაშავეებად და განაცხადეს, რომ პირველად ბესომ განიზრახა თავადის დიასამიძის მოკვლა და წაგვიყვანა კიდეც იმ ადგილას, სადაც მკვლელობა უნდა მომხდარიყო, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზედ მივიდა, ჩვენ გავიქეცით და თოფი მარტო ბესომ გაისროლაო.

თავმჯდომარე, საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ, შეეკითხა ბრალდებულთ, აღიარებთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავეებადაო?

ბესო იმერლიშვილი. მე ვაღიარებ, რომ დამნაშავე ვარ. თავ. დიასამიძემ სრულიად გამაღატაკა, მამული წამართვა და არ უნდოდა, რომ მესარგებლა იმ ბაღით, რომლითაც მფლობელობდნენ მამაჩემი, პაპაჩემი და მთელი ჩვენი შთამომავლობა!.. თავ. დიასამიძე სულ იმას მეუბნებოდა, რომ წადი ამ სოფლიდგანაო და საზოგადოდ საშინლად მდევნიდა. ერთხელ ვუთხარი: „თავადო, რას შვრები, ნუ თუ ღმერთი არა გაქვს მეთქი?“ — ასე მიპასუხა, რომ „ღმერთიც მე ვარ და ხელმწიფეცაო“.

თავმჯდ. თოფი თქვენ გასტყენეთ.

ბესო. დიაღ.

თავმჯდ. ბოგირი თქვენ აჰყარეთ?

ბესო. მე ავყარე.

თავმჯდ. ამ დროს სხვებიც ხომ თქვენთან იყვნენ? რითი ათხარეთ დატკეპნილი მიწა ბოგირისა?

ბესო. არავინ არ იყო და მე თითონ ამოვყარე მიწა.

თავმჯ. დანარჩენმა ბრალდებულებმა იცოდნენ თუ არა საქმის გარემოება?

ბესო. არავინ არ იცოდა, მარტო მე განვიზრახე და ავასრულე კიდეც.

თავმჯდ. (დანარჩენ ბრალდებულთ) დამნაშავეებად იღიარებთ თქვენ თავს, თუ არა?

ყველა უარს აცხადებს და ამბობენ, რომ ჩვენ ამ საქმის არა ვიცითრაო.

თავ. გ. დიასამიძე. (ერთად ერთი მოწმე თავ. ნ. დიასამიძის მკვლელობისა) უამბობს რა სასამართლოს დაწვრილებით საქმის ყოველსავე გარემოებას დასძენს, რომ მე მოველოდდი მთლად ჩვენი ოჯახის აკლებას, რადგან დიდი ხანია დავიდარაბაა ატეხილი ჩვენსა და გლეხებს შორის და ჩვენი დავა სენატამდისაცკი მივიდაო. 1892 წ. ებრძანათ გლეხებს დამორჩილება, მაგრამ თავისას არ იშლიდნენ და რამდენიმე კაცი გაგზავნილ იქმნა პატიმართა რაზმში; როდესაც დაბრუნდნენ, ხელახლად წინააღმდეგობა დაუწყეს მამაჩემს. არაფერს არ იხდიდნენ მამაჩემის სასარგებლოდ.

მოწმე დარწმუნებულია, რომ ამ დანაშაულის ჩადენა წინადვე ჰქონდათ მოლაპარიკებული გლეხებს ერთმანეთს შორისაო.

ბრალმ. ამხ. სამამულო დავა გქონდათ რამე გლეხებთან თუ არა.

თავ. გ. დიასამიძე. დიაღ, გლეხები კუთვნილზედ ნაკლებს გვაძლევდნენ, მაგრამ მამაჩემი სრულიად გულკეთილად ეკიდებოდა.

ბრალმდებ. ამხ. მაშ ეს ამბავი როგორ-ღა ატყდა, თუ მამა თქვენი აგრე გულ-კეთილად ეკიდებოდა?

თავ. გ. დიასამიძე. ჩემის მოსაზრებით, გლეხებს უნდოდათ დაეშინებინათ მამაჩემი და არა მიეცათ-რა.

ბრალ. ამხ. მამა თქვენი ბესოს ქურდობას აბრალებდა?

თავ. გ. დიასამიძე. გადაჭრით არაფრის თქმა არ შემიძლიან. ვიცი-კი, რომ მამა-ჩემს რამდენჯერმე უთქვამს: „ოღონდ ბესომ მუშაობა დაიწყოს და მამულსაც ვაჩუქებო“. ბესია და ამ ერთის ძუძუთი ვართ აღზრდილნი.

მოწმის ნათქვამი დამნაშავეთ გამოუცხადეს, მაგრამ იმათ განაცხადეს, მართალი არ არის ეგ ჩვენებაო.

ბრალმდ. ამხ. მოწმევ, ეს მითხარით, როგორ დაუხვდნენ გლეხები მამითქვენის მოკვლის ამბავს?

თავ. გ. დიასამიძე. გლეხთაგან ერთი კაციც არ დასწრებია მამიჩემის დასაფლავებას. დაგვცინოდნენ კიდეც და ამბობდნენ, „რაო, კარგად დაასაფლავეთ მიცვალებულიო? ბევრი ხალხი დაესწრო მამი-თქვენის დასაფლავებასაო?“

(შემდეგი იქნება)

---

### ხოხობაშვილების ოჯახის საქმე

13 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია ხოხობაშვილების ოჯახის საქმე—დედისა ნინო ხოხობაშვილისა და მისის სამის შვილისა: ვასილისა, კონსტანტინესი და ზაქარიასი, რომელთაც მევახშეობა ჰბრალდებოდა. სასამართლოში თავმჯდომარეობდა ოლქის სასამართლოს წევრი ვ. ვ. ბალდირევი, წევრებად იყვნენ ი. ი. პარჩევსკი და საპატიო მომრიგებელ-მოსამართლე მ. პ. გაკკელი. ბრალსა სდებდა ბრალმდებლის ამხანაგი დ. ე. ჩერნიკი, იცავდა ბრალდებულთ ნაფიცი ვექილი პახომოვი. სასამართლომ 13 ნოემბერს განიხილა საქმე და გამოუცხადა, რომ განაჩენს 15 ნოემბერს გამოვაქვეყნებთო. გუშინ გამოცხადებულ იქმნა განაჩენი, რომლითაც ბრალდებულნი გამართლებულ იქმნენ.

---

## დამაჯერდი

ის, რაც უგუნებოდ არის დაწერილი, უვარგისია.

ვოლტერი

***

თარგმანი ხშირად ფერადის მათით ნაქარგის ქვემო პირსა ჰგავს.

ბუასტი

***

მსახიობი სალაპარაკო მილია, ხორცისაგან და ძვლისაგან გაკეთებული, რომლის შემწეობითაც პოეტი საზოგადოებას ესაუბრება.

---

### გამოსადეგი ცნობა

სურდოს წამალი: ერთს პატარა ჭიქა წყალში უნდა გაიხსნას ცოტა სოდა და მარილი, (რაც კალმის დანის წვერზე დაეტევა) მერე ეს წამალი ცხვირში უნდა შეასრუტოს ავადმყოფმა.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 ნოემბერი

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. დღევანდელის კრების შესახებ გაზეთები შემდეგს იუწყებიან: დეპუტატმა ჰაგენგოფერმა და შენერერმა ერთმანეთს მუშტებით დაუწყეს ცემა; დეპუტატმა გრაფ ფეტტერმა მოჩხუბართ ერთი ჭიქა წყალი გადაასხა; მინისტრები ჩხუბის დაწყებამდე გავიდნენ დარბაზიდგან, დარჩა მხოლოდ რკინის გზათა მინისტრი პუტტენბერგი.

**ბომბეი.** პუნასა და სუარტში შავი ჭირი არა სუსტდება. ის ბელგაუმსა და ახმედ-ნაგარშიაც გაჩნდა. ახმედ ნაგარიდგან მცხოვრებელთა ერთი მესამედი გაიქცა. ბომბეიში 26 კაცი გახდა ავად შავი ჭირით, მათ შორის 10 გარდაიცვალა.

**პარიჟი.** პოლიციამ სამინისტროს მიერ დანიშნულ დელეგატთან ერთად გაჩხრიკა პოლკოვნიკ პიკარის პარიჟის სადგომი. რამდენიმე წერილი წაიღეს. ამ გაჩხრეკის ერთმა დამსწრემ სთქვა, რომ სამინისტროს დელეგატმა განაცხადა: „გაჩხრეკამ ერთი ორად უფრო აშკარად ჰყო ის, რაც უკვე ვიცოდითო“.

ტულონიდგან იუწყებიან, რომ ბრძანება მოვიდა, რომ იმ ჯარისკაცების ნაცვლად, რომელნიც უნდა სამშობლოს დამბრუნდნენ, 250 ქვეითა ჯარის კაცი იქმნას გაგზავნილი კრიტშიო.

14 ნოემბერი

**პეტერბურგი.** „მმართველობის უწყებაში“ გამოქვეყნებულია რუსეთსა და ბოლგარიის შორის სავაჭრო მორიგების შინაარსი.

დანიშნულ იქმნა: რუსეთის ელჩი, საფრანგეთში განმწესებული, ბარონი მორენჰეიმი—სახელმწიფო საბჭოს წევრად იმ პირობით, რომ თავისსავე თანამდებობაზედაც იქმნას დატოვებული.

**ათინა.** პალატამ ამოარჩია იმ კომისიის წევრები, რომელმაც უნდა გამოიძიოს უკანასკნელ ომში დამნაშავეთა საქმე. ამის შემდეგ პალატაც დაიშალა იმ დრომდე, ვიდრე მთავრობა არ მოიწვევს.

ზავი ხელ-მოწერილ იქმნა კონსტანტინეპოლში.

**სალონიკი.** ქვეითა ჯარის სამი ბატალიონი უსკიუბში იქმნა გაგზავნილი. მონასტირიდგან უსკიუბში წავიდა კიდევ 4 ბატალიონი. ხმა დადის, რომ პრიზერნის, დიაკოვის და იპეკის ალბანელთა შორის დიდი უკმაყოფილებაა ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგაო.

**მარსელი.** პოლკოვნიკი პიკარი, ტუნისიდგან მომავალი, დილას მოვიდა. სადგურიდგან პირდაპირ პარიჟში წავიდა.

**ბერლინი.** ვენიდგან იუწყებიან, რომ კრიტის გუბერნატორად ფრანციოსებ ბატტენბერჰელია დასახელებულიო.

**კონსტანტინეპოლი.** ხაირ-ფაშის უფროსობით სმირნიდგან სალონიკში მიდიან ჯავშნიანი გემები: „ოსმანიე“, „ორხანიეკე“, „მეჯიმი“, „შეფკეტ“ და ნაღმიანი გემები.

15 ნოემბერი

**პეტერბურგი.** 14 ნოემბერს პეტერბურგის მიტროპოლიტმა ისაკიევის სობოროში წირვა გარდაიხადა. წირვის შემდეგ პარაკლისი იყო, რომელზედ წარმოთქმულ-იქმნა მრავალ ჟამიერ ხელმწიფის სადღეგრძელოდ დაესწრნენ, სამხედრო საზღვაო და სამოქალაქო უწყებათა მოხელენი და აფიცრობა.

მოსკოვიდგან, ყაზანიდგან, ვილნიდგან, რიგიდგან იუწყებიან დედოფალ იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღის დღესასწაულობის შესახებ.

**ცარსკოე სელო.** დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს დიდის სასახლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. დასწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, პრინცესა შლეზვიგ-გოლშეინისა, დიდნი მთავარნი და მთავრინანი და საიმპერატორო გვარეულობის სხვა წევრნი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გამოეცხადოს გაზეთ „СВѢТЪ“-ს პირველი გაფრთხილება.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ზალაში შესვლის დროს პრეზიდენტს აბრაგამოვიჩს მემარცხენი საშინელის ყვირილით მიეგებნენ. სოციალ-დემოკრატი ბერნერი სცდილობს პრეზიდენტს მივარდეს, რის გამო იმასა და მოსამსახურეთა შორის ჩხუბი იმართება. სოციალ-დემოკრატი რეზელი გადახტა მინისტრების სკამებზედ და პრეზიდენტის მაგიდაზედ ქაღალდების ხევა დაიწყო. სხვა სოციალისტები ბერნერს მიეშველნენ, მათ დაიჭირეს საპრეზიდენტო ტრიბუნა და დაკმაყოფილება მოითხოვეს, ამასთან ამტკიცებდნენ, რომ რეზელს მოსამსახურეებმა სცემესო. პრეზიდენტი იძულებული გახდა გაქცეულიყო. დეპუტატთა შორის ჩხუბი გაიმართება. ბოლოს ბერნერი გააგდეს ზალიდგან, სადაც 70 პოლიციელი შემოვიდა. კამისარმა გამოუცხადა იმ სოციალისტებს, რომელთაც საპრეზიდენტო ტრიბუნა დაიკავეს, განათავისუფლეთ ეგ ადგილიო. რადგანაც სოციალისტები წინააღმდეგობას უწევდნენ; პოლიციელებმა გაიყვანეს ესენი და თვით პრეზიდენტის ტრიბუნის გარშემო დადგნენ. ეს ამბავი კრების დაწყებამდე მოხდა. ბოლოს კრება დაიწყო. პრეზიდენტმა ორჯელ სთხოვა ოლფს წესიერად მოიქეცითო და შემდეგ გამოუცხადა პალატის სამ კრებაზედ დასწრება აღმიკრძალავს თქვენთვისაო. ამან მემარცხენეთა შორის საშინელი ყვირილი გამოიწვია. ვოლფი პრეზიდენტის განკარგულებას არ ემორჩილება. პრეზიდენტი შესწყვეტს კრებას და ზალიდგან გავა. ამ დროს დარაჯნი ვოლფს ზალიდგან გაიყვანენ. 10 წუთის შემდეგ პრეზიდენტი ხელ-ახლა გამოჩნდება, მაგრამ ყვირილი, ხმაურობა, ბრახი-ბრუსი კიდევ ატყდება. პრეზიდენტმა უბრძანა დარაჯებს ზალიდგან გასვლა სთქვა: „მე დავითხოვე დარაჯები. ჩემ თავს თქვენ განდობთ. მე-კი ნუ შემიბრალებთ, ის ადგილი შეიბრალეთ, რომელიც მე მიკავიო“. დარაჯნი გადიან. პრეზიდენტი სტრიუჩკის სიტყვის თქმის ნებას აძლევს. საშინელი ხმაურობა, ყველაზედ ძალიან სოციალ-დემოკრატის დაშინსკის ხმა გაისმის. პრეზიდენტი დაშინსკის სამას კრებაზედ დასწრებას აღუკრძალავს. რადგანაც დაშინსკი წინააღმდეგობას აცხადებს დარაჯებს გაჰყავთ იგი. ხმაურომა არ შესწყდება, რის გამო შენერერი, ვიცე-პრეზიდენტი კრამარჟი, სოციალ-დემოკრატი შტკინერი, იოსებ რეზელი, რიგენი, კაზაკევიჩი, ფერკაუჩი, შრამმელი, ცელლერი, ცინგერი და გებოში გამორიცხულ იქმნენ და მათ სამს კრებაზედ დასწრება აღეკრძალათ. რადგანაც ხმაურობა არ სწყდება, პრეზიდენტი იძულებული ხდება კრება დაშალოს.

**ლონდონი.** ახალშენთა სამინისტროში ამბავი მოვიდა, რომ ფრანგებსა და ინგლისელებს შორის შეტაკება მოხდა ნიკისთანაო. როგორც ამბობენ, ნიკი ფრანგებმა დაიჭირეს. სამინისტროში ამ ამბავს არ უჯერებენ.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ნოემბერი.

| | მყიდველისა მან. კ. | გამყიდველისა მან. კ. | გაყიდულისა მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 212 |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | $100^5/_8$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $294^1/_4$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 254 |

---

### „ივერიის“ ფოსტა

**მ. ჭ—ს.** გამოგზავნეთ „Старина“ და, თუ საჭიროდ დავინახეთ, გადმოვთარგმნით.

**ნ. ეგ—ძეს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ხოფ. ტ—სი. ი. ბ—რს.** თქვენი ორი წერილი არ მიგვიღია.

Дозволено цензурою, Тифлисъ 15-го Ноября 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.